

საერთო დებულებები

შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს ნავთობბაზაზე, ძეგვში, რეზერვუარების სარემონტო სამუშაოები

ობიექტი განთავსებულია მცხეთის რაიონში, სოფ. ძეგვი.

მოთხოვნილი სამუშაოები: ნაკლის გამოვლენა (დეფექტოსკოპია) და ფსკერის შეცვლა სხვადასხვა სისქის ფოლადის გამოყენებით მიწისზედა რეზერვუარებში (17 ცალი). ნებადართულია ქვეკონტრაქტორების მოწვევა.

გამარჯვებულ კომპანიას:

- უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა განახორციელოს სარემონტო და დიაგნოსტიკური სამუშაოები;
- განახორციელოს სამუშაოების სრული ციკლი ხარვეზის აღმოჩენიდან და ორთქლზე რეზერვუარების ჰიდროტესტირებამდე;
- შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს წარუდგინოს დასკვნა თითოეული რეზერვუარისთვის ჰიდროტესტირებისა და გაწმენდის ჯამურად ჩატარებული სამუშაოების შესახებ;
- განახორციელოს რეზერვუარების ხარვეზების აღმოჩენა სამუშაოს დაწყებამდე, სამუშაოს შედეგების საფუძველზე დასკვნის სავალდებულო წარმოდგენით, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი შემთხვევებით:
- შედუღების დეფექტები;
- ქარხნული შედუღების დეფექტები;
- ფუნდამენტის არათანაბარი განლაგება;
- კედლებზე, ფსკერზე და სახურავზე ჩაღრმავებები და ხარვეზები;
- რეზერვუარის ზედა და ქვედა ნაწილის კოროზია.

საბოლოო დასკვნა უნდა ასახავდეს:

- ლითონის და შედუღებული ნაწილების დეფექტებს;
- ელემენტების გეომეტრიული ზომებისა და ფორმების ცვლილებებს;

- მეტალის სტრუქტურისა და მექანიკური თვისებების დარღვევა;
- ფურცლის კონსტრუქციის გერმენტულობის დარღვევა.

სამუშაოები უნდა ჩატარდეს RD 39-0147103-385-87 "მაგისტრალური ნავთობპროდუქტების რეზერვუარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესები", RD 08-95-95 "ნავთობისა და ნავთობპროდუქტებისთვის შედუღებული ვერტიკალური ცილინდრული ავზების ტექნიკური დიაგნოსტიკის სისტემის შესახებ დებულება", ასევე რეზერვუარების ტექნიკური ექსპლუატაციის წესებთან და მათი შეკეთების ინსტრუქციების მიხედვით.

ტენდერის კომერციული შემადგენლობა:

- ტენდერის კომერციული განცხადება უნდა შეიცავდეს ტექნიკური დავალების სამუშაოს შესრულებისა და მასალების სრულ ღირებულებას, კომერციული წინადადების ვალუტა- ლარი (დღგ-ს ჩათვლით).
- გადახდა ხდება სამუშაოს დასრულებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერიდან 45-ე კალენდარულ დღეს.
- შესაძლებელია ობიექტების წინასწარი მონახულება შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-სთან შეთანხმებით.

ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, გამარჯვებული კომპანია ვალდებულია:

- განახორციელოს შპს „ლუკოილ-ჯორჯია“-ს ნავთობბაზაზე, ძეგვში, რეზერვუარების სადიაგნოსტიკო და სარემონტო სამუშაოები.

